



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: პროფესორი ჯეფრი ნილ შარკი, შოტლანდიის სამეფო კონსერვატორიის რექტორი
წევრები:

მარიამ ღამბაშიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

ნატალია თვალჭრელიძე, წევრი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თეა გერგედავა - წევრი- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

თეონა კახიძე - წევრი- კახიძის მუსიკალური ცენტრი;

ჯოვანა აბლოთია -წევრი- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

თბილისი
11-14 ივნისი 2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია დაარსდა 1917 წელს და იგი პირველი ევროპული სტილის უმაღლესი მუსიკალური საგანმანათლებლო დაწესებულებაა ქვეყანაში. მას აქვს 14 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, სულ 800 სტუდენტით, მათგან 438 აქტიურია. თსკ-ს ჰყავს 87 სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალი, რომელიც ასწავლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. თსკ-ს აქვს ძალიან ძლიერი რეპუტაცია და ტრადიცია, კერძოდ იკი განსაკუთრებული გამოცდილება ფორტეპიანოსა და ვოკალის სწავლებაში, ისევე როგორც მუსიკოლოგიისა და ქართული ტრადიციული პოლიფონიის სამეცნიერო კვლევებში.

ავტორიზაციის შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი თსკ-ში გაიმართა 2024 წლის 11-14 ივნისს. ვიზიტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. თვითშეფასების ანგარიში და დამხმარე დოკუმენტები კარგად იყო მომზადებული და მათი უმეტესობა ნათარგმნი იყო ინგლისურ ენაზე. თავმჯდომარე ქართულენოვან მოსაუბრეებს დაეყრდნო იმ დოკუმენტების ზოგიერთი დეტალის შესამოწმებლად, რომლებიც არ იყო ნათარგმნი. შეხვედრები იყო გულწრფელი და გააზრებული. შეხვედრებზე ადმინისტრატორების, აკადემიური და დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების კარგი ბალანსი იყო წარმოდგენილი. თსკ-ს ჰყავს აქტიური სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ვიზიტის სამზადისში და ფაკულტეტთან და პერსონალთან ერთად, ძალიან აზრიანი პასუხები ჰქონდათ. ექსპერტთა ჯგუფიც კარგად დაბალასებული იყო, იგი დაკომპლექტებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებით, სტუდენტთა ექსპერტით, დამსაქმებლებით. სამუშაო პროცესი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა.

უსდ-ს სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, რომ თსკ-მ, ახალი რექტორის მოსვლასთან ერთად, განაახლოს თავისი სტრატეგიული გეგმა, დააკავშიროს იგი წინასთან და დაამატოს KPI-ები (შესრულების ძირითადი ინდიკატორები), მიღწეული პროგრესის გეგმასთან მიმართებით გაზომვის უზრუნველსაყოფად.

2.1 კომპონენტი

რეკომენდებულია, კონსერვატორიას საკუთარი შიდა აუდიტის პროგრამა ჰქონდეს

ყოველწლიურად, რომელიც განიხილავს ძირითადი აქტივობების ეფექტურობას, როგორიცაა ფონდების მოზიდვა, სტუდენტური მომსახურება, წლიური ანგარიშები და ბიუჯეტები.

რეკომენდებულია კიბერუსაფრთხოების უკეთესი ტრენინგის განხორციელება ყველა პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, რადგან მისი ნაკლებობა ინსტიტუციურ რისკს წარმოადგენს.

რეკომენდებულია აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტის გასწორება და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა. განახლებული ვერსია მხარს უნდა უჭერდეს აკადემიური თავისუფლების საზოგადოდ აღიარებულ პრინციპებს.

2.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის დამატებით, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაძლიერება.

რეკომენდებულია, რომ პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) შეფასების პროცესი იყოს უფრო სისტემატური და ყოვლისმომცველი.

2.3 კომპონენტი

რეკომენდებულია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა კონსერვატორიასა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის, რათა შეიქმნას პოზიტიური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიის აყვავებას თსკ-ში.

4.1 კომპონენტი

ოპერაციული შესაძლებლობების გასაზრდელად და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ექსპერტთა ჯგუფი კონსერვატორიას ურჩევს განიხილოს დასკვნაში მოცემული ქმედებები.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტში შეიქმნას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია.

5.2 კომპონენტი

რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდამჭერის ძირითად სამსახურებში დაემატოს პერსონალი.

რეკომენდებულია კონსერვატორიასა და კურსდამთავრებულებს შორის აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა მათ პიროვნულ, პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.

7.1 კომპონენტი

რეკომენდირებულია, რომ თსკ-მ მოძებნოს შემოსავლის ალტერნატიული წყაროები ინსტრუმენტების შესყიდვებისთვის, რათა უზრუნველყოს მისი სასწავლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება - ამის საჭიროება აშკარაა ჩასაბერი და დასარტყამი ინსტრუმენტების მიმართულებით.

რეკომენდებულია, თსკ-ს ჰქონდეს ექიმის ოთახი, სადაც გამოცდილი პერსონალი იმუშავებს.

7.2 კომპონენტი

რეკომენდებულია გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნების პროცესი - ინგლისურ ენაზე სახელმძღვანელოების შეძენა, ასევე ახალი მასალების ქართულ ენაზე შეძენა და გამოცემა.

7.3 კომპონენტი

რეკომენდებულია, რომ განახლდეს და გაუმჯობესდეს (სისწრაფის და მარტივი ნავიგაციის უზრუნველყოფით) თსკ-ს ვებგვერდი.

რეკომენდებულია, რომ კონსერვატორიამ მოამზადოს იმ ყველა ძირითადი დოკუმენტის ინგლისურენოვანი თარგმანი, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტებთან და განათავსოს ვებგვერდზე.

რჩევები

1.1 კომპონენტი

სასურველია, რომ განათლების სამინისტრო (უმადლესი განათლების ტიპური დაფინანსების ორგანო) კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით იყოს შემოსავლის მთავარი წყარო სახელოვნებო ღონისძიებებისთვის, ინსტრუმენტების შეკეთების- შესყიდვებისთვის, ფესტივალებისთვის და ა.შ.

სასურველია, კონსერვატორიამ წარმოადგინოს უფრო მაღალი ტარიფი თითო სტუდენტზე, რაც ჩვეული ნორმაა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, რათა დაიფაროს ერთი-ერთზე და მცირე ზომის ჯგუფებში ინტენსიური სწავლების დამატებითი ხარჯები, რაც საჭიროა კონსერვატორიის ღონის განათლებისთვის.

სასურველია, რომ კონსერვატორიამ მიმდინარე მარკეტინგული რესურსის გარდა, ინვესტიცია ჩადოს დაფინანსების მოზიდვის ოფიცერში, ასევე კურსდამთავრებულთა ჩართულობის ოფიცერში. მიზანია, რომ დაფინანსების მოზიდვამ და კურსდამთავრებულთა ჩართულობამ მოიტანოს მეტი შემოსავალი, მაგალითად ცნობილი კურსდამთავრებულების მხრიდან დროის გამოყენებით, მონაწილეობითა და ძალისხმევით.

2.1 კომპონენტი

შემოსავლების გამრავალფეროვნების მიზნით, სასურველია რომ თანხების მოზიდვისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების მიმართულებით დაემატოს ძირითადი პერსონალი.

სასურველია, კონსერვატორია დაფიქრდეს „შაბათის იუნიორების“ (უმადლეს განათლებამდე) უზრუნველყოფაზე, რთულად მოსაძიებელი ინსტრუმენტების მოზიდვისა და შემოსავლების გამრავალფეროვნების მიზნით.

2.2 კომპონენტი

სასურველია, რომ თსკ-მ შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო და/ან ჩაწეროს მოკლე ვიდეოები პროფესიული განვითარებისა და პერსონალის მოტივაციის გაზრდის მიზნით. ამ მასალების ქონა უფრო ეფექტური იქნება და დაზოგავს დროს ადამიანური რესურსების და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალისთვის.

3.1 კომპონენტი

სასურველია, რომ თსკ-მ გააგრძელოს მუშაობა საკუთარი პროგრამების ევროპული ინსტიტუტების პროგრამებთან დადარების მიმართულებით.

3.2 კომპონენტი

სასურველია, რომ საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, უფრო სიფრთხილით შეირჩეს თეორიული საგნები.

სასურველია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და განრიგი (გამოცდები) გადაიხედოს სამემსრულებლო ფაკულტეტზე იმის მიხედვით, რომ მათ სურთ მეტი დრო ჰქონდეთ კონსერვატორიაში სასცენო წარმოდგენებისთვის.

სასურველია, რომ უფრო მეტი შესაძლებლობა შეიქმნას აკადემიური გუნდის დირიჟორობის სტუდენტებისთვის, რომ იმუშაონ სხვადასხვა გუნდებთან სამუსიკო სკოლებთან და სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, რომლებსაც ჰყავთ მუსიკალური ანსამბლები, რადგან ამ გუნდების ხელმძღვანელებითსკ-ის კურსდამთავრებულები არიან.

სასურველია თუ თსკ განიხილავს ხელოვნების მენეჯმენტის პროგრამის შექმნას მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამისთვის, სხვა უნივერსიტეტების ბიზნეს მენეჯმენტის სკოლებთან თანამშრომლობით, რამეთუ არსებობს პროფესიონალი კადრების ნაკლებობა, რომლებიც ამ სფეროში მუშაობას შეძლებენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ორგანიზაციებში.

სასურველია, რომ თსკ-მ გააგრძელოს ორკესტრის დირიჟორობისა და საოპერო მომზადების (opera coach) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მუშაობა, უახლოეს მომავალში აკრედიტაციის მისაღებად.

სასურველია, რომ თსკ-მ განავითაროს პროგრამები, რომლებიც მხარს უჭერს ზრდას სამიზნე მიმართულებებში - როგორიცაა ჩასაბერი და დასარტყამი ინსტრუმენტები.

4.1 კომპონენტი

სასურველია, პროფესიული განვითარების მკაფიო სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ გარე დაფინანსებაზე.

სასურველია, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება და შიდა ბიუჯეტის გადანაწილება პერსონალის უწყვეტი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდასაჭერად.

სასურველია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, საერთაშორისო პარტნიორობისა და ე.წ. “Job Shadowing” შესაძლებლობების ხელშეწყობა, უფრო ფართო, მდგრადი სტრატეგიის ფარგლებში.

სასურველია, საშტატო საჭიროებების საფუძვლიანი შეფასება ისეთ მნიშვნელოვან განყოფილებებში, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო დეპარტამენტი. გამოყავით რესურსები, რომ დაასაქმოთ დამატებითი პერსონალი და გააუმჯობესოთ ამ დეპარტამენტების შესაძლებლობები.

სასურველია, შეიმუშაოთ მკაფიო, გამჭვირვალე კრიტერიუმები მოწვეული სასწავლო პერსონალის შეფასებისთვის და მათ აცნობოთ ამის შესახებ. დარწმუნდით, რომ ეს კრიტერიუმები შეესაბამებოდეს დაწესებულების საერთო სტანდარტებსა და მიზნებს.

სასურველია, რომ კონსერვატორიის ხელმძღვანელობამ განიხილოს სკოლებში მუსიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების ჩატარება. აღნიშნულის დაფინანსება შესაძლოა მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლების ან თავად პედაგოგების მიერ. კონსერვატორიის დიპლომის ან კონსერვატორიაში სამუშაო გამოცდილების ქონა იქნებოდა მეტად პრიორიტეტული.

5.2 კომპონენტი

სასურველია, გაუმჯობესდეს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომ უზრუნველყოთ ტრენინგები, ვორქშოპები ან საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტების მიერ რეზიუმეების მომზადებაზე, განაცხადების გაკეთებაზე, ინტერვიუს ტექნიკებსა და ა.შ.

სასურველია, უზრუნველყოთ კონსერვატორიასა და კურსდამთავრებულებს შორის აქტიური თანამშრომლობა მათი პერსონალური, პროფესიონალური და აკადემიური განვითარების მიმართულებით.

სასურველია, თსკ-მ მხარი დაუჭიროს იმ სტუდენტებს, ვისაც აქვს სურვილი ჩაერთოს EPASA-ს (ევროპის სამემსრულებლო ხელოვნების სტუდენტთა ასოციაცია) პროექტებში.

6.1 კომპონენტი

სასურველია, რომ კვლევითი პროექტი მომზადდეს თბილისში სამუსიკო განათლების მდგომარეობის შესახებ. მოხდეს განსაზღვრა, თუ სად არის მეტი საჭიროება და როგორ უნდა მოხდეს ახალგაზრდების წახალისება სასულე, დასარტყამი და სხვა ინსტრუმენტების გამოყენების მიმართულებით და როგორ შეუძლია კონსერვატორიას გამოიყენოს თავისი გავლენა და გამოცდილება ამის მისაღწევად.

6.2 კომპონენტი

სასურველია, რომ თსკ-მ გაზარდოს საკუთარი დაფინანსება საერთაშორისო კვლევებსა და ინტერნაციონალიზაციის აქტივობებში უფრო მეტად მონაწილეობისთვის.

სასურველია, თსკ-ს ხელმძღვანელობამ დაგეგმოს უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომა რეკრუტირების კუთხით, თუ რა იქნება ინსტრუმენტალისტთა და მომღერალთა დაბალანსებული რაოდენობა ან რამდენად ინტერნაციონალური იქნება ის.

6.3 კომპონენტი

სასურველია, რომ თსკ-მ სცადოს, რომ კვლევითი საქმიანობის მიმართულებით მეტად აქტიური პედაგოგები და შემსრულებლები დაასაქმოს, რამდენადაც ფაკულტეტის ასაკოვანი წევრების პენსიაზე გასვლასთან ერთად, თანამდებობები თავისუფლდება.

7.1 კომპონენტი

სასურველია, ქვეყნის მთავრობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტთან მუშაობა, რათა მოხდეს შენობების უმოკლეს დროში ადაპტაცია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა საჭიროებებზე.

სასურველია თანამშრომლობა კერძო სპონსორებთან იშვიათი ინსტრუმენტების შეძენისთვის სახსრების მოსაზიდად.

სასურველია, თსკ-მ იმუშავოს ჯაზისა და მუსიკის ტექნოლოგიების მთლიანი შენობის შეძენასა და მეორე კამპუსის შექმნაზე.

სასურველია დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიება იმისთვის, რომ კონსერვატორია ნაკლებად იყოს დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე.

7.3 კომპონენტი

სასურველია, სტუდენტთათვის შეიქმნას სარეპეტიციო სივრცეების დაჯავშნის უფრო მოქნილი სისტემა.

სასურველია, მოხდეს ფინანსური მხარდაჭერა სოციალურ მედიაში პოსტების განთავსების მიმართულებით იმისთვის, რომ გაიზარდოს ინტერაქცია დაინტერესებულ მხარეებთან და მეტი ყურადღება დაეთმოს ზოგადად კლასიკურ მუსიკას.

7.4 კომპონენტი

სასურველია, მოხდეს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება იმისთვის, რომ გაიზარდოს ბიუჯეტი ხელფასების მატების, აუცილებელი ინსტრუმენტების შესყიდვის, კონსერვატორიის ქონების განვითარების და კვლევაში ინვესტირების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- კონსერვატორიის დიდი დარბაზის გამოყენება სტუდენტთა საჭიროებებისთვის.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის
შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	
4	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐

4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

- 1.1 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან
- 1.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან

- 2.1 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- 2.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- 2.3 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან

- 3.1 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან
- 3.2 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან
- 3.3 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან

- 4.1 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- 4.2 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან


- 5.1 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან
- 5.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან

- 6.1 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან
- 6.2 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან
- 6.3 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან

- 7.1 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- 7.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- 7.3 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან
- 7.4 კომპონენტი - შესაბამისია მოთხოვნებთან

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ჯეფრი შარკი (თავმჯდომარე)



2. მარიამ ღამბაშიძე, (წევრი)



3. ნატალია თვალჭრელიძე (წევრი)



4. თეა გერგედავა (წევრი)

5. ჯოვანა აბლოტია (წევრი)



ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროსა და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კონსერვატორიის მისია შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს. სტრატეგიული გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მისიის შესრულებას, განახლებას საჭიროებს, ახალი რექტორის მოსვლასთან ერთად. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს წინა გეგმა და მიზნად ისახავდეს გეგმის უწყვეტობის ძირითადი პუნქტების შესრულებასა და ახალი განვითარებების ჩამოყალიბებას.

კონსერვატორიამ უნდა მოიძიოს დამატებითი დაფინანსების წყაროები, სამომავლოდ მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ეს არის საკვანძო პუნქტი- ფაკულტეტის უფროსი წარმომადგენლების დიდი ნაწილი მალე პენსიაზე გავა და საჭიროა აქტიური მუშაობა იმაზე, რომ ნიჭიერი ხელოვანების/მასწავლებლების ახალი თაობა ემიგრაციაში არ წავიდეს უფრო მაღალი ხელფასების მისაღებად.

სამინისტროს მხარდაჭერა მეტად ღირებული და დასაფასებელია. სასურველია, თუკი ეს შენარჩუნდება ისეთ დისტანციაზე, რომ კონსერვატორიამ შეძლოს ავტონომიურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ფუნქციონირება. სამინისტროს მხარდაჭერის კუთხით, უნდა დაფიქრდეთ შემდეგზე:

1. რომ განათლების სამინისტრო (უმაღლესი განათლების ტიპიური დაფინანსების ორგანო) იყოს შემოსავლის მთავარი წყარო, კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სახელოვნებო ღონისძიებებისთვის, ინსტრუმენტების შეკეთებისთვის- შესყიდვებისთვის, ფესტივალებისთვის და ა.შ.
2. სასურველია, კონსერვატორიამ წარმოადგინოს უფრო მაღალი ტარიფი თითო სტუდენტზე, რაც ჩვეული ნორმაა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, რათა დაიფაროს ერთი-ერთზე და მცირე ზომის ჯგუფებში ინტენსიური სწავლების დამატებითი ხარჯები, რაც საჭიროა კონსერვატორიის დონის განათლებისთვის.

კონსერვატორიამ ინვესტიცია უნდა ჩადოს დაფინანსების მოზიდვის ოფიცერში, ასევე კურსდამთავრებულთა ჩართულობის ოფიცერში. მიზანია, რომ დაფინანსების მოზიდვამ და კურსდამთავრებულთა ჩართულობამ მოიტანოს მეტი შემოსავალი, მაგალითად ცნობილი კურსდამთავრებულების მხრიდან დროის გამოყოფით, მონაწილეობითა და ძალისხმევით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა სტრატეგიული გეგმა და თვითშეფასების ანგარიში; გამართა დისკუსიები ხელმძღვანელობასთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, ფაკულტეტთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები: სასურველია, რომ განათლების სამინისტრო (უმაღლესი განათლების ტიპური დაფინანსების ორგანო) კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით იყოს შემოსავლის მთავარი წყარო სახელოვნებო ღონისძიებებისთვის, ინსტრუმენტების შეკეთების- შესყიდვებისთვის, ფესტივალებისთვის და ა.შ. სასურველია, კონსერვატორიამ წარმოადგინოს უფრო მაღალი ტარიფი თითო სტუდენტზე, რაც ჩვეული ნორმაა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, რათა დაიფაროს ერთი-ერთზე და მცირე ზომის ჯჭუფებში ინტენსიური სწავლების დამატებითი ხარჯები, რაც საჭიროა კონსერვატორიის ღონის განათლებისთვის. სასურველია, რომ კონსერვატორიამ მიმდინარე მარკეტინგული რესურსის გარდა, ინვესტიცია ჩადოს დაფინანსების მოზიდვის ოფიცერში, ასევე კურსდამთავრებულთა ჩართულობის ოფიცერში. მიზანია, რომ დაფინანსების მოზიდვამ და კურსდამთავრებულთა ჩართულობამ მოიტანოს მეტი შემოსავალი, მაგალითად ცნობილი კურსდამთავრებულების მხრიდან დროის გამოყენებით, მონაწილეობითა და ძალისხმევით.	საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. შეფასება მონიშნეთ უჯრედი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტის მოცემული კომპონენტთან ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან 1.2 სტრატეგიული განვითარება ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო (სამწლიანი) გეგმები. ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნული ეხება ზემოთ ხსენებულს. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული გეგმა, რომელიც განახლების პროცესს, ახალი რექტორის მოსვლასთან ერთად. KPI-ები უნდა
---	--

დაამატოს გეგმის თითოეულ მთავარ ნაწილს პროგრესზე თვალყურის დევნებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პერსონალსა და სტუდენტებს. რეგულარულად ტარდება გამოკითხვები და აქტივობები სწავლის შედეგების ან საშუალებების გასაუმჯობესებლად, თანხის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ თსკ-მ, ახალი რექტორის მოსვლასთან ერთად, განაახლოს თავისი სტრატეგიული გეგმა, დააკავშიროს იგი წინასთან და დაამატოს KPI-ები (შესრულების ძირითადი ინდიკატორები), მიღწეული პროგრესის გეგმასთან მიმართებით გაზომვის უზრუნველსაყოფად.

რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ უჯრედი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტის მოცემული კომპონენტთან ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის მისიისა და მიზნების შესაბამისად, უსდ-ის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსკ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფექტურია და მუშაობს მის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქტივობების განხორციელებასა და მიზნების მისაღწევად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და დაყოფილი, თუმცა ადმინისტრაციის ახლად დანიშნულმა უფროსმა განაცხადა, რომ მისი ოპტიმიზაცია შესაძლებელია სამომავლო საჭიროებების შესაბამისად. მმართველი ორგანოების არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის დამტკიცებული, გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობის შესაბამისი. უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ განყოფილებაში კადრების ნაკლებობაა (საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი), მაგრამ ამ პრობლემის გამოსწორება დაკავშირებულია არასაკმარისი ფინანსურ სახსრებთან. ეს, ქვემოთ მოცემული იქნება სერიოზული რჩევების სახით, რათა დაწესებულებამ მოიძიოს შემოსავლის ახალი წყაროები და მიაღწიოს მიზნებს. ზოგადად, ადმინისტრაციული პერსონალის ყველა წევრი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს საგანმანათლებლო და კვლევითი ტრადიციების მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად, რაც თსკ-ის მთავარი ღირებულებაა.

უმაღლესი მენეჯმენტი, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან ერთად იღებს სისტემატურ უკუკავშირს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის, აკადემიური ფაკულტეტისა და პროგრამის ლიდერებისგან იმ საკითხების შესახებ, რომლებიც უნდა გაუმჯობესდეს; ისინი ღია არიან სტუდენტური კონტიგენტისგან წამოსული იდეებისადმი და ცდილობენ მოიძიონ დამატებითი დაფინანსება კულტურის სამინისტროსა და კერძო სექტორისგან. ახალი რექტორი ძალიან მოტივირებულია, რომ უფრო მეტად იმუშაოს ამ მიმართულებით და იმედი აქვს, რომ წარმატებას მიაღწევს.

დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტბრუნვის სისტემა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. არსებობს დოკუმენტბრუნვის ერთი ელექტრონული სისტემა, ასევე აქვთ დოკუმენტების ბეჭდური ასლების მონაცემთა ბაზა „სველი შტამპებით“. თსკ-ს აქვს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის მკაფიო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციისა და რისკის შერბილების მექანიზმებს.

შესყიდვების დეპარტამენტი მუშაობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. როგორც ფინანსების დეპარტამენტმა აღნიშნა, ამ კანონის მიხედვით, კონსერვატორიის სასწავლო, კვლევითი თუ სახელოვნებო ცხოვრების გასაუმჯობესებლად საჭირო სხვადასხვა აქტივობისა თუ ღონისძიებისთვის დამატებითი თანხების მისაღებად, მათ კულტურის სამინისტროს უნდა მიმართონ პროექტებით, სადაც მითითებული იქნება მიზნები, განხორციელების გეგმები და საჭირო ბიუჯეტი. მათ აღნიშნეს, რომ უმეტეს შემთხვევაში, მათი პროექტები მხარდაჭერილია.

თსკ-ის სტრატეგიული გეგმაში მითითებული ერთ-ერთი მთავარი გეგმა არის დაწესებულების ინტერნაციონალიზაცია. ამ მიზნის განხორციელება ნათლად არის განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას, მონაწილეობას საერთაშორისო კვლევით აქტივობებში, ერთობლივ პროექტებში და ა.შ. მობილობის პროგრამა Erasmus + უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლას (მასტერკლასები, ტრენინგი, სწავლა, კვლევა). ისინი თანამშრომლობენ 38 ქვეყნის

სამუსიკო დაწესებულებასთან. გასაუბრებების თანახმად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ გაცვლითი აქტივობები შეუფერხებლად მიმდინარეობს, როგორც ადმინისტრაციული ასევე საგანმანათლებლო მხრიდან. სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან ამ პროცესით. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში მობილობა ნაკლებია ინგლისური ენის ცოდნის პრობლემების გამო, განსაკუთრებით უფროსი თაობის პროფესორებში. გარკვეული პრობლემები არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების დასაფარად საჭირო ფინანსების მოძიებაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი სამუშაოს თემატიკა არ ეხება ქართულ ტრადიციულ ან კლასიკურ მუსიკას. რაც შეეხება საერთაშორისო სამეცნიერო კონკურსებსა თუ ფესტივალებში მონაწილეობას, ეს ექვემდებარება კულტურის სამინისტროსგან დამატებითი დაფინანსების მოთხოვნას.

შესაბამის დეპარტამენტთან და ტოპ მენეჯმენტთან გასაუბრებისას, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევა უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტის მოზიდვის მიმართულებით. უფრო ეფექტური მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ თსკ-ში ხელმისაწვდომი მაღალი დონის განათლების უპირატესობები საზღვარგარეთ წარადგინოთ, მათ შორის სწავლის შედეგების მტკიცებულებები(საერთაშორისო კონკურსებზე მიღებული ჯილდოების სია, ცნობილი კურსდამთავრებულების საკონცერტო კალენდრები ან/და CV, კონცერტების ვიდეოები, მასტერ-კლასები და ა.შ.). . თსკ-ს შეუძლია შეიმუშაოს მიმზიდველი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები, თავისი ძლიერი მხარეებით კლასიკურ, ტრადიციულ ქართულ მუსიკასა და ჯაზში. ახალი რექტორი, როგორც ჩანს, დიდ ენთუზიაზმს იჩენს ამ მიმართულებით, რადგან ერთი მხრივ სურს, ყველა ცნობილი მუსიკოსი, რომელიც ახლა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობს, დაბრუნდეს თსკ-ში მასწავლებლად, მეორე მხრივ კი იმედოვნებს, რომ ბრწყინვალე მუსიკოსების ახალ თაობას, რომლებიც იზრდებიან ამ დაწესებულებაში, მისცეს შესაძლებლობა, რომ დარჩნენ სამშობლოში და ჰქონდეთ სათანადო საკონცერტო და პედაგოგიური კარიერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თსკ-ს წესდება, სტრატეგიული გეგმა, ორგანიზაციული სტრუქტურა და კომიტეტის სტრუქტურა, სტატისტიკური მონაცემები, მართვის ეფექტურობის და შეფასების სისტემის მონიტორინგის მექანიზმები, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები, ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, კონსერვატორიას საკუთარი შიდა აუდიტის პროგრამა ჰქონდეს ყოველწლიურად, რომელიც განიხილავს ძირითადი აქტივობების ეფექტურობას, როგორცაა ფონდების მოზიდვა, სტუდენტური მომსახურება, წლიური ანგარიშები და ბიუჯეტები.

რეკომენდებულია კიბერუსაფრთხოების უკეთესი ტრენინგის განხორციელება ყველა პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, რადგან მისი ნაკლებობა ინსტიტუციურ რისკს წარმოადგენს.

რეკომენდებულია აკადემიური კეთილსინდისიერების დოკუმენტის გასწორება და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა. განახლებული ვერსია მხარს უნდა უჭერდეს აკადემიური თავისუფლების საზოგადოდ აღიარებულ პრინციპებს.

რჩევები:

შემოსავლების გამრავალფეროვნების მიზნით, სასურველია რომ თანხების მოზიდვისა და კურსამთავრებულებთან ურთიერთობების მიმართულებით დაემატოს ძირითადი პერსონალი.

სასურველია, კონსერვატორია დაფიქრდეს „შაბათის იუნიორების“ (უმაღლეს განათლებამდე) უზრუნველყოფაზე, რთულად მოსაძიებელი ინსტრუმენტების მოზიდვისა და შემოსავლების გამრავალფეროვნების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

თსკ-ის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული აქტივობები. ტოპ მენეჯმენტის დამოკიდებულება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიმართ. მართვის ეფექტურობის გაუმჯობესების იერარქიულად ქვემოდან ზემოთ აღმავალი მოდელი.

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.



კონსერვატორიაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. ხარისხის დეპარტამენტი მაქსიმალურ ძალისხმევას იჩენს, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ეს აღინიშნა გასაუბრების დროსაც და მიჩნეულია კარგ პრაქტიკად. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში ამჟამად სამი ადამიანია დასაქმებული: ერთი სამსახურის უფროსი, ერთი მოადგილე და ერთი უფროსი სპეციალისტი, ყველა საკმაოდ გამოცდილია და აქვთ შესაბამისი ცოდნა მუსიკის დარგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ.

გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა თავისი საქმიანობა შედარებით დეცენტრალიზებული გახადა და წინა ორ წელთან შედარებით პროგრესი განიცადა. თუმცა, აუცილებელია გაგრძელდეს ხარისხის კულტურისა და შიდა ხარისხის მექანიზმების მხარდაჭერა ახალი მენეჯმენტის, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. ფაკულტეტის დეკანებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ისინი ასრულებენ ბევრ ფუნქციას, რომელსაც, როგორც წესი, ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება იყოს დეცენტრალიზაციის კარგი პრაქტიკა, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა რეკომენდაცია, რომ დაემატოს ხარისხის უზრუნველყოფის დამატებითი პერსონალი საშემსრულებლო ხელოვნებისა და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტებზე ან თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, დეკანებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ისედაც დატვირთული გრაფიკის გათვალისწინებით. .

გასაუბრების დროს დროს ბევრმა გამოკითხულმა, განსაკუთრებით სტუდენტებმა, მხარდაჭერაზე საუბრისას ახსენეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფუნქციურად მათ არ უნდა ეხებოდეს. ეს ექსპერტთა ჯგუფს აფიქრებინებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მეტისმეტად ბევრი ფუნქციაა გაერთიანებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებამ სწორად განსაზღვრა „საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა მომსახურებაში ჩართული, შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციის მქონე დამხმარე პერსონალის ნაკლებობა“ როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. ამ მოსაზრებას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება.

ადგილზე ვიზიტის ბოლოს, წინასწარი მიგნებების წარდგენის შემდეგ, ახალმა მენეჯმენტმა ექსპერტთა ჯგუფს დაუდასტურა სურვილი, რომ გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი პერსონალით. გარდა ამისა, საჭიროა, განიხილოთ, სათანადო ადამიანური რესურსის დამატება, სტუდენტური სერვისების დეპარტამენტში.

როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად იხარჯება პერსონალის მხარდაჭერაზე პროგრამების შემუშავებასა და სილაბუსის კომპონენტების სტანდარტების შესაბამისად განვითარების საქმიანობაში. ეს გამომდინარეობს კონსერვატორიის სპეციფიკიდან, რამეთუ პროგრამის განმახორციელებლები უმეტესად ტრადიციულ სწავლებაში არიან გამოცდილი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალისთვის დროისა და ადამიანური რესურსების დაზოგვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებს, ჩამოაყალიბონ სახელმძღვანელო დოკუმენტი (ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო), ჩაწერონ ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის მოკლე ვიდეოები, ან დანერგონ მოკლე სასერტიფიკატო კურსები სილაბუსების აგების, სწავლის შედეგების ფორმირების, სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და შეფასების მეთოდების შესახებ. ეს ინიციატივა იქნება პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებების ნაწილი და შესაძლოა გაზარდოს პერსონალის მოტივაცია, რითაც გააძლიერებს ხარისხის უზრუნველყოფის კულტურას. რაც მთავარია, ეს

ინიციატივა არ საჭიროებს ფინანსურ ხარჯებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დანერგა შეფასების მექანიზმები. როგორც სტუდენტებმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურეს შეფასების ამ მეთოდების ეფექტურობა და წარმოდგინეს მაგალითები, თუ როგორ გაუმჯობესდა გარკვეული საკითხები. კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ სანამ ისინი სტუდენტები იყვნენ, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევაში და აკვირდებოდნენ გაუმჯობესებებს. თუმცა აღნიშნეს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია ვერ ახერხებდა გარკვეული გამოწვევების გადაჭრას და ეს სირთულეები კონსერვატორიის და პროგრამის სპეციფიკას მიაწერეს.

როგორც აღინიშნა, თითქმის ყველა გამოკითხულმა, გარდა კურსდამთავრებულებისა, დაადასტურა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვები. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა სამ წელიწადში ერთხელ ტარდება. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესობის მიერ კურსის დასრულებიდან სამი წელი არ გასულა, თუმცა მათ კონსერვატორიასთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ამჟამად მათი ერთადერთი კავშირი კონსერვატორიასთან ხდება კორპორატიული ელექტრონული ფოსტით, სადაც ისინი კვლავ იღებენ ინფორმაციას კონკურსებისა და სხვა სიახლეების შესახებ, რაც შეიძლება ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად.

დაწესებულებამ შეიმუშავა პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიმოხილვისა და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სამეცნიერო საქმიანობის (როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო პერსონალის) შეფასებას. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისას, ხარისხის უზრუნველყოფის სერვისი მუშაობს PDCA ციკლის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესი არასრულია და შესაძლოა არასისტემატური იყოს ზოგიერთი საქმიანობისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით გამოიკვეთა მოწვეული პერსონალის შეფასებისას და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაში. მაგალითად, მართალია პერსონალის სემესტრული დატვირთვა და სემესტრის დასასრულს შესრულებული აქტივობების შესახებ მონაცემები გროვდება, მათ ანალიზსა და შეფასებას აკლია სისტემატური მიდგომა, რაც დასტურდება გასაუბრებების საფუძველზე. გარდა ამისა, მოწვეულ თანამშრომლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მათი შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ ისინი ყურადღებით აკვირდებიან სტრატეგიული გეგმის შეფასების პროცესს და აღინიშნა, რომ შუალედური შეფასება უნდა განხორციელდეს 2024 წლის სექტემბერში. აღსანიშნავია, რომ ტოპ მენეჯმენტთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ დღის წესრიგში შესაძლოა იყოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ცვლილება. ასეთი ცვლილების შემთხვევაში, საჭირო იქნება სამოქმედო გეგმის შეფასების უწყვეტობის შენარჩუნება დაწესებულების მიმდინარე საქმიანობისა და შეფასებების უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტების განხილვისა და გასაუბრების პროცესში გამოვლინდა, რომ კონსერვატორიის წინა ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იღებდა. კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეები განიხილებოდა და ხდებოდა მისი შემდგომი მონიტორინგი ხარისხის სამსახურის მიერ. ამჟამინდელ ხელმძღვანელობას, რომელშიც შედიან ახლადდანიშნული რექტორი და ვიცე-კანცლერები, არ ჰქონდა საკმარისი დრო ამ პრაქტიკის პრაქტიკულად განსახორციელებლად, იქნება ეს ხელმძღვანელობასთან თუ ხარისხის უზრუნველყოფისა და სხვა სამსახურებთან მიმართებით. თუმცა, გასაუბრებისას აღინიშნა, რომ თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ ეს პროცესი დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით გაგრძელდება.

დაწესებულებას აქვს როგორც სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, სადაც ჩართულია ყველა გარე დაინტერესებული მხარე. არსებობს სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმიც. აკადემიურ საბჭოსთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და დეკანებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ისინი მისაღები სტუდენტების რაოდენობას არსებული კრიტერიუმებიდან გამომდინარე გეგმავენ. ამ პროცესში ისინი ასევე ითვალისწინებენ მუსიკალური სკოლების კურსდამთავრებულთა პერსპექტივებს, რაც არაერთხელ დადასტურდა. კარგ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს კონსერვატორიის თანამშრომლების მიერ მომავალი სტუდენტების მოსაძებნად საქართველოს რეგიონების სამუსიკო სკოლების მონახულება.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან ერთად მუშაობს საერთაშორისო აკრედიტაციაზე, რაშიც ექსპერტთა ჯგუფი უსურვებს დიდ წარმატებას. კარგია, რომ თავად დაწესებულება ხედავს თავის გასაუმჯობესებელ მხარეებს, რაც მან აღნიშნა თვითშეფასებაში, მათ შორის: „სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევაზე უკუკავშირის ხარისხისა და სიხშირის მდგრადობა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ეფექტიანობის გაძლიერება.“ გასაუმჯობესებელი მხარეების აღიარება კარგ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დადგენილება No36/2022 - LSI- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება No80/2020 – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საშემსრულებლო ხელოვნებისა და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებისთვის მისაღები ადგილების გამოცხადების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
სტუდენტური თვითმმართველობა ხელს უწყობს ექსტრაკურთუღარულ აქტივობებს და ქმნის ახალი კლუბების დაარსების პირობებს მათი ინტერესების მიხედვით. სტუდენტური თვითმმართველობა, ასევე, უზრუნველყოფს კავშირს სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის. კონსერვატორია მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს, ასევე სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კონსერვატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

კონსერვატორია ახორციელებს სხვადასხვა დამხმარე სერვისს, აქვს სწავლის გადახდის მოქნილი მექანიზმები და სხვა შეღავათები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის შემდეგ კონსერვატორია წელიწადში ორჯერ აცხადებდა სტიპენდიებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის (SES) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დასაფარავად. ადგილზე ვიზიტისას ადმინისტრაციულმა თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული მექანიზმის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სტუდენტს არ

შესწერება სტუდენტის სტატუსი ფინანსური პრობლემების გამო.

ესდ სტუდენტებს სტიპენდიებს სთავაზობს. კონსერვატორიამ ასევე მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდამჭერ სხვა ინიციატივებსაც.

კურსდამთავრებულებთან გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ დაწესებულებას არ აქვს მჭიდრო ურთიერთობა კურსდამთავრებულებთან. ამ მიმართულებით კონსერვატორიამ უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლოს მათთან და რეგულარულად აწარმოოს გამოკითხვები კურსდამთავრებულთა პიროვნულ, პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაგეგმილი და გამხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- კარიერული მხარდაჭერის ოფისი;
- განხორციელებული სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამები;
- თანამშრომლობა დამსაქმებლებთან;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუები სტუდენტურ ჯგუფებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერის ძირითად სამსახურებში დაემატოს პერსონალი.

რეკომენდებულია კონსერვატორიასა და კურსდამთავრებულებს შორის აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფა მათ პიროვნულ, პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.

რჩევები:

სასურველია, გაუმჯობესდეს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომ უზრუნველყოს ტრენინგები, ვორქშოფები ან საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტების მიერ რეზიუმეების მომზადებაზე, განაცხადების გაკეთებაზე, ინტერვიუს ტექნიკებსა და ა.შ.

სასურველია, უზრუნველყოს კონსერვატორიასა და კურსდამთავრებულებს შორის აქტიური თანამშრომლობა მათი პერსონალური, პროფესიონალური და აკადემიური განვითარების მიმართულებით.

სასურველია, თსკ-მ მხარი დაუჭიროს იმ სტუდენტებს, ვისაც აქვს სურვილი ჩაერთოს EPASA-ს (ევროპის საშემსრულებლო ხელოვნების სტუდენტთა ასოციაცია) პროექტებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კონსერვატორიას აქვს კარგად დამკვიდრებული კვლევითი პრაქტიკა და პროფილი. წესდებაში ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის ბოლოდროინდელი დამატება ამყარებს სამეცნიერო და მხატვრული კვლევის ძალიან ძლიერ კულტურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არის დოქტორანტების კარგი რაოდენობა, რომლებიც ასრულებენ სწავლას დანიშნულ დროში და მათ კარგად უწევს ხელმძღვანელობას აკადემიური პერსონალი. აქვთ საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი (მუსიკოლოგია და კულტურა) რომელიც ქვეყნდება ქართულად, ინგლისურად და რუსულად.

დამატებითი სერვისები: სსიპ
სამეცნიერო კვლევითი
დეპარტამენტის წესდება ერთობლივი
საერთაშორისო პროექტები
თბილისის მუსიკოლოგიის საერთაშორისო კონფერენცია

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, რომ კვლევითი პროექტი მომზადდეს თბილისში სამუსიკო განათლების მდგომარეობის შესახებ. მოხდეს განსაზღვრა, თუ სად არის მეტი საჭიროება და როგორ უნდა მოხდეს ახალგაზრდების წახალისება სასულე, დასარტყამი და სხვა ინსტრუმენტების გამოყენების მიმართულებით და როგორ შეუძლია კონსერვატორიას გამოიყენოს თავისი გავლენა და გამოცდილება ამის მისაღწევად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აქტიურად უწყობს ხელს და მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნისა და პრაქტიკის საზღვრების გაფართოებას. ინსტიტუცია ახალისებს თავის აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას განახორციელოს ინოვაციური კვლევები და შემოქმედებითი პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს ინტელექტუალური და მხატვრული აღმოჩენების კულტურას. ეს მხარდაჭერა გადაწყვეტია კონსერვატორიის გამოცდილების სფეროებში ახალი ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების განვითარებისათვის. დაწესებულება ეხმარება თავის აკადემიურ პერსონალს სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოძიებაში. გარკვეული დაფინანსება იქნა მოძიებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, ეთნომუსიკოლოგიისა და ციფრული მუსიკოლოგიის სფეროებში კვლევების ჩასატარებლად. დაწესებულება ხელს უწყობს გარემოს, სადაც მაგისტრანტები და დოქტორანტები ჩართულნი არიან სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებში, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, წვლილი შეიტანონ და ჩამოაყალიბონ კონსერვატორიის აკადემიური და შემოქმედებითი ლანდშაფტი. გარდა ამისა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ხშირად აწყობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, რომლებშიც მონაწილეობენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. პროფესორ-მასწავლებლებს ასევე აქტიური წვლილი შეაქვთ აკადემიურ საზოგადოებაში თავიანთი კვლევების გამოქვეყნებით პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი მიღწევებისა, დაწესებულებას ამჟამად არ გააჩნია კონცენტრირებული შიდა დაფინანსების მექანიზმი სამეცნიერო კვლევების მხარდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხარვეზი წარმოადგენს გამოწვევას, აღსანიშნავია, რომ კონსერვატორია გეგმავს ამ საკითხის მოგვარებას ისეთი მექანიზმის შექმნით, როგორც ეს მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში (SER), გვერდი 37.

ერთ-ერთი სფერო, სადაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია გამოირჩევა, არის მისი საერთაშორისო თანამშრომლობა. დაწესებულება ახორციელებს შემოქმედებითი სახელოვნებო პროექტებს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად და აქტიურად არის ჩართული ERASMUS+ ICM პროგრამაში. ეს საშუალებას აძლევს კონსერვატორიას გაუზიაროს და მიიღოს სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი პროგრამის ქვეყნებში ათობით პარტნიორ დაწესებულებაში/დან. კონსერვატორიის ძალისხმევა ამ პარტნიორობის უზრუნველსაყოფად და მისი მცდელობები ჩაერთოს სხვადასხვა გლობალურ სახელოვნებო-შემოქმედებით აქტივობაში ხაზს უსვამს მის მონდომებას შეინარჩუნოს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფს არ შეუტყვია რაიმე ტიპის ერთობლივი სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამების შესახებ, თუმცა ინფორმაცია მოგვეწოდა მრავალი კვლევითი პარტნიორობის შესახებ, რომელიც ხორციელდება კონსერვატორიასა და ევროპელ კოლაბორატორებს შორის. კონსერვატორია კარგად უჭერს მხარს თავის კვლევით პერსონალსა და სტუდენტებს და იზიდავს მრავალფეროვან ინიციატივებსა და სასწავლო სფეროებს.

მიუხედავად ამ სანაქებო ძალისხმევისა, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ამ საქმიანობის მდგრადობისა და გაფართოების მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადეკვატური შიდა დაფინანსების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორია ჩართულია ERASMUS+ ICM-ის მრავალ პროექტში, ეს აქტივობები დიდწილად დამოკიდებულია გარე ფინანსურ წყაროებზე. ეს დიდი დამოკიდებულება გარე დაფინანსებაზე, როგორცაა ევროკავშირის გრანტები, ათავსებს უსდ-ს ფინანსური სისუსტეების წინაშე და ზღუდავს მის შესაძლებლობებს დამოუკიდებლად შეინარჩუნოს და გააფართოოს საერთაშორისო ძალისხმევა. ინტერნაციონალიზაციისთვის შიდა დაფინანსების ნაკლებობა ზღუდავს კონსერვატორიის სტრატეგიულ მოქნილობას ახალი საერთაშორისო შესაძლებლობების მიხედვით. დაწესებულებას შეიძლება გაუჭირდეს ისეთი საერთაშორისო პროექტების ინიცირება ან მონაწილეობა, რომლებიც შეესაბამება მის სტრატეგიულ მიზნებს, მაგრამ სცილდება ხელმისაწვდომი გარე დაფინანსების წყაროების ფარგლებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- გასაუბრებების შედეგები.
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

სასურველია, რომ თსკ-მ გაზარდოს საკუთარი დაფინანსება საერთაშორისო კვლევებსა და ინტერნაციონალიზაციის აქტივობებში უფრო მეტად მონაწილეობისთვის.

სასურველია, თსკ-ს ხელმძღვანელობამ დაგეგმოს უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომა რეკრუტირების კუთხით, თუ რა იქნება ინსტრუმენტალისტთა და მომღერალთა დაბალანსებული რაოდენობა ან რამდენად ინტერნაციონალური იქნება ის.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: არსებობს მკაფიო წლიური გეგმა სამეცნიერო კვლევითი სამსახურისათვის. სტატისტიკური მონაცემები მუდმივად გროვდება და მიზნები ნათელია. საერთაშორისო თანამშრომლობაში არის გამოკვეთილი ზრდა. პერსონალის მონაწილეობის ნაწილი არასრულია და კონსერვატორია მუშაობს კვლევით საქმიანობაში მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვაზე და მათი მუშაობის ელექტრონულ სისტემაში აღრიცხვაზე. არსებობს კვლევითი კომიტეტი, რომელიც რეგულარულად აფასებს საქმიანობისა და სამეცნიერო ერთეულების ხარისხს. კონსერვატორიას აქვს საკუთარი სამეცნიერო ჟურნალი ჟურნალებისა და სტატიების გამოსაქვეყნებლად. ქართული პოლიფონიის კვლევა უნიკალურია მსოფლიოში და ძალიან კარგად მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: კვლევითი ლაბორატორიების ანგარიშები, IRCTP-ის ანგარიში, პერსონალის სამუშაო გეგმის შემუშავება, შესაბამისი სამეცნიერო ასოციაციების წევრობა
რეკომენდაციები:
რჩევები: სასურველია, რომ თსკ-მ სცადოს, რომ კვლევითი საქმიანობის მიმართულებით მეტად აქტიური პედაგოგები და შემსრულებლები დაასაქმოს, რამდენადაც ფაკულტეტის ასაკოვანი წევრების პენსიაზე გასვლასთან ერთად, თანამდებობები თავისუფლდება.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კონსერვატორია ფლობს ფიქსირებულ და მიმდინარე რესურსებს, რომლებიც აუცილებელია მათი მიზნების განსახორციელებლად, პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად.

კონსერვატორიის მთავარი შენობა არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში. თავისი ბრწყინვალე, სრულად აღჭურვილი დიდი საკონცერტო დარბაზითა და მცირე საკონცერტო დარბაზით კონსერვატორიას შეუძლია არა მხოლოდ საჭირო პრაქტიკული სწავლების ორგანიზება სცენაზე მათი სტუდენტებისთვის, არამედ ისიც, რომ გამართოს კონცერტები და მოაწყოს მუსიკალური ფესტივალები ცნობილ მუსიკოსებთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და განათლებას. საკონცერტო დარბაზებს ასევე მოაქვს კონსერვატორიისათვის დამატებით შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან.

მთავარ შენობაში ასევე განთავსებულია სარეპეტიციო ოთახები, საკლასო ოთახები თეორიული ლექციებისთვის, სტუდიები, სივრცეები ჯგუფური მუშაობისა და ორკესტრის რეპეტიციებისთვის, სცენა საოპერო პრაქტიკისთვის და ა.შ. კონსერვატორიის მთავარი შენობა კარგად არის აღჭურვილი. ყველა სივრცეს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ცენტრალური გათბობის სისტემები და ასევე ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემები, სადაც ეს შესაძლებელია. იმის გამო, რომ შენობა კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლია, კონსერვატორიის ადმინისტრაციას არ აქვს თავისუფლება დაამონტაჟოს კონდიციონერი ისე როგორც მათთვისაა მოსახერხებელი, თუმცა ის ადგილზეა, სადაც ეს შესაძლებელია. დარბაზები ასევე აღჭურვილია ტენიანობის კონტროლის სისტემებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინსტრუმენტებისთვის ხელსაყრელი პირობები. შენობა არ არის ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებზე, რაც კიდევ ერთხელ არის განპირობებული იმით, რომ კონსერვატორიის ადმინისტრაცია არ არის თავისუფალი, მოაწიოს სარემონტო სამუშაოები შენობის შიგნით. მიუხედავად ამისა, 2020 წლის კანონი ავალდებულებს დაწესებულებას, შეიტანოს ყველა საჭირო ცვლილება, რათა სივრცე ადაპტირებული იყოს სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის. როგორც ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს შეიტყო, კონსერვატორიამ მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტს და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა მიეწოდებინათ რეკომენდაციები შენობაში საჭირო ცვლილებების შესახებ.

კონსერვატორია ასევე ფლობს სხვა შენობებს საბურთალოზე, რომელიც ქალაქის სხვა ნაწილს წარმოადგენს. ეს არის ერთი სართული ოთხსართულიან შენობაში, რომელიც ახლად გარემონტებულია დაწესებულების საჭიროებების მიხედვით და იქ სწავლობენ ჯახისა და მუსიკალური ტექნოლოგიების პროგრამების სტუდენტები. ეს შენობა, მიუხედავად იმისა, რომ არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, არც ისე კარგად არის ადაპტირებული. როგორც კონსერვატორიის ადმინისტრაციაში აღნიშნეს, მას არც საჭირო ხმის იზოლაცია აქვს, რაც ართულებს სტუდენტების ვარჯიშს. ის ფაქტი, რომ კონსერვატორია ფლობს ამ შენობის მხოლოდ ერთ სართულს, ართულებს საჭირო ადაპტაციას.

კონსერვატორია მუდმივად ცდილობს იზრუნოს და განახლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულებამ:

1. განახლა გამომცემლობა, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც კვლევითი საქმიანობისთვის, ასევე ქართულ ენაზე ახალი სახელმძღვანელოების გამოცემისთვის.
2. რეაბილიტაცია ჩაუტარა მთავარი შენობის წყალმომარაგების სისტემას
3. დაამონტაჟა კონდიციონერების სისტემები სარეპეტიციო ოთახებსა და საკლასო ოთახებში
4. შეიძინა მუსიკალური ტექნოლოგიების დეპარტამენტისთვის საჭირო კომპიუტერები
5. დაამონტაჟა სპეციალური არასტანდარტული ზომის კარადები სტუდენტების მუსიკალური ინსტრუმენტების შესანახად
6. რაც მთავარია, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას Steinway & Sons 79 როიალზე, საიდანაც 23 უკვე დამონტაჟდა აუდიტორიებში 2022 და 2023 წლებში, დანარჩენი 56 კი 2025 წლის ბოლომდე იქნება მოწოდებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატორიის კურსდამთავრებულები ხშირად სწირავენ ინსტრუმენტებს დაწესებულებას. ეს მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერ დაფარავს იშვიათი ინსტრუმენტების საჭიროებას. ვიზიტის დროს, როგორც კონსერვატორიის ადმინისტრაციამ, ისე სტუდენტებმა აღნიშნეს ინსტრუმენტების, განსაკუთრებით დასარტყამი და სპილენძის ჩასაბერი ინსტრუმენტების ნაკლებობა. დაწესებულებამ უნდა გასწიოს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს შესაბამისი დაფინანსების მოძიება პროგრამის ხარისხის შესანარჩუნებლად საჭირო ყველა ინსტრუმენტის შესაძენად და შესანარჩუნებლად.

დაწესებულებას აქვს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შეეძლო ეხილა ხანძარსაწინააღმდეგო გეგმები, რომლებიც ხილული იყო ყველგან ორივე შენობაში. იატაკზე განთავსებულია ცეცხლმაქრები ინსტრუქციით. კონსერვატორია ასევე

ფლობს პირველადი დახმარებისთვის საჭირო სამედიცინო ყუთებს, რომლებიც განთავსებულია ყველა სართულზე. კონსერვატორიამ უნდა უზრუნველყოს სრული სამედიცინო კაბინეტი, სადაც მომზადებული პერსონალი იქნება განთავსებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერები
- მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები;
- ინსტრუმენტების შემოწირვის შეთანხმებები
- სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი დახმარებისა და უსაფრთხოების სერვისის დოკუმენტაცია
- გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ადგილზე ვიზიტი;

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ კონსერვატორიამ მოძებნოს შემოსავლის ალტერნატიული წყაროები ინსტრუმენტული შესყიდვებისთვის, რათა უზრუნველყოს სასწავლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნება - ამის საჭიროება აშკარაა ჩასაბერი და დასარტყამი ინსტრუმენტების მიმართულებით.

რეკომენდებულია, კონსერვატორიას ჰქონდეს ექიმის ოთახი, სადაც გამოცდილი პერსონალი იმუშავებს.

რჩევები:

- სასურველია, ქვეყნის მთავრობასთან და თბილისის მუნიციპალიტეტთან მუშაობა, რათა მოხდეს შენობების უმოკლეს დროში ადაპტაცია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა საჭიროებებზე.
- სასურველია თანამშრომლობა კერძო სპონსორებთან იშვიათი ინსტრუმენტების შეძენისთვის სახსრების მოსაზიდად.
- სასურველია, კონსერვატორიამ იმუშაოს ჯაზისა და მუსიკის ტექნოლოგიებისთვის მთლიანი შენობის შეძენასა და მეორე კამპუსის შექმნაზე.
- სასურველია დაფინანსების ალტერნატიული გზების მოძიება იმისთვის, რომ კონსერვატორია ნაკლებად იყოს დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

1. კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის სტუდენტების საჭიროებებისათვის გამოყენება.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კონსერვატორიის ბიბლიოთეკა საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაარსდა შესაბამისად, მის მფლობელობაშია დიდი რაოდენობით ნაბეჭდი მასალები მუსიკაზე, რარიტეტების ჩათვლით. კონსერვატორიის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს:

სანოტო ფურცლები და პარტიტურები

- წიგნები და სახელმძღვანელოები
- აუდიო ბიბლიოთეკა – თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე, რომლის გამოყენება შესაძლებელია ადგილზე
- DVD და CD ჩანაწერები
- პერიოდული გამოცემები
- დისერტაციების არქივი
- ელექტრონული კატალოგი;
- ციფრული ბიბლიოთეკები, მათ შორის წვდომა სამეცნიერო ბაზებსა და მუსიკალურ ჩანაწერებზე

ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი წიგნებით, მუსიკალური პარტიტურებითა და ჩანაწერებით, რომლებზეც ღიაა წვდომა. სტუდენტებს შეუძლიათ მოვიდნენ და წაიკითხონ ბიბლიოთეკაში ან გადაიღონ მათთვის საჭირო მასალის ასლები, ბიბლიოთეკაში გათვალისწინებული ასლების მომზადების სერვისით.

ბიბლიოთეკის ფონდების განახლება დამოკიდებულია პროფესორებისა და ადმინისტრაციის მოთხოვნებზე, ასევე ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, რომელიც სამწუხაროდ საკმაოდ შეზღუდულია. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე შაბათის ჩათვლით. ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი რესურსია კონსერვატორიისათვის და მისი რესურსები ყოველდღიურად გამოიყენება, რადგან ვერცერთი პრაქტიკული გაკვეთილი ჩატარდება მუსიკალური ფურცლებისა და პარტიტურების გამოთხოვის გარეშე. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი სათანადოდ არის აღჭურვილი ჩართული კომპიუტერებით, ასლის აპარატით და უკაბელო ინტერნეტით. ბიბლიოთეკას აქვს მკაფიო ინსტრუქციები და კარგად იყენებს მუსიკის რამდენიმე ელექტრონულ საძიებო სისტემას.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შემთხვევითი გზით შეემოწმებინა საჭირო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკაში იოლად მოძებნეს ყველა წიგნი, რომელიც მოითხოვეს. ბიბლიოთეკას ასევე აქვს წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, რომელთა წვდომა შესაძლებელია ბიბლიოთეკის გარედანაც, კორპორატიული ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

ბიბლიოთეკა თანამშრომლებს, პროფესორებსა და სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებას:

- ჰკითხე ბიბლიოთეკარს
- ელექტრონული დაჯავშნის სისტემა - წიგნი ან მუსიკალური ფურცელი შეიძლება დაიჯავშნოს წინასწარ, უბრალოდ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით
- ბიბლიოთეკათაშორისი გამოწერა - რაც უზრუნველყოფს წიგნის გამოთხოვას საქართველოს ნებისმიერი ბიბლიოთეკიდან და უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა, პროფესორებმა და ადმინისტრაციამ ისაუბრეს როგორც პროფესიული ლიტერატურის, ასევე ქართული ენაზე სახელმძღვანელოების ნაკლებობაზე. ეს ტენდენცია ასევე ჩანს სილაბუსების გადახედვისას, სადაც ჩამოთვლილი მრავალი სავალდებულო წიგნი რუსულ ენაზეა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ახალგაზრდა თაობის უმრავლესობამ საერთოდ არ იცის რუსული, ისინი ვერ გამოიყენებენ ამ ენაზე ხელმისაწვდომ ლიტერატურას. ამიტომ ბიბლიოთეკამ კონსერვატორიის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა მოძებნოს საჭირო რესურსები ინგლისურ ენაზე ლიტერატურის შესაძენად და ასევე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოების თარგმნაზე. იმის გათვალისწინებით, რომ კონსერვატორიას აქვს ახლად გარემონტებული გამომცემლობა, თარგმნილი ლიტერატურის ბეჭდვა არ იქნება რთული და ძვირი. ბიბლიოთეკის პერსონალი კომპეტენტურია და შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებსა და თანამშრომლებს საჭიროების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ
- ელექტრონული კატალოგი <http://conservatoire.library.ac.ge/>
- ელექტრონული ბიბლიოთეკა <http://dspace.tsc.edu.ge/>
- ბიბლიოთეკის ვებსაიტი <https://tsc.edu.ge/biblioteka-fonoteka/>
- ელექტრონული რესურსების გამოყენების სტატისტიკა
- საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისა და განვითარების მექანიზმები
- ახალი საბიბლიოთეკო რესურსების შეძენის რეგულაციები
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია საწიგნო სახსრების ფლობის შესახებ
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში
- შეხვედრა ბიბლიოთეკის პერსონალთან და მენეჯმენტთან

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნების პროცესი - ინგლისურ ენაზე სახელმძღვანელოების შეძენა, ასევე ახალი მასალების ქართულ ენაზე შეძენა და გამოცემა.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პროცესების უწყვეტობას.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კონსერვატორიაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახა და განეხილა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მისი ადმინისტრირების მდგომარეობა დაწესებულების მენეჯმენტთან და თანამშრომლებთან.

კონსერვატორიას აქვს მაღალი ხარისხის ინტერნეტი სტუდენტებისა და პერსონალისთვის უფასო უკაბელო ინტერნეტის წვდომით, კორპორატიული ქსელი და ფოსტის სერვერი, ასევე კორპორატიული ელექტრონული საცავი, მონაცემთა გაცვლისა და გაზიარების მექანიზმები. დაწესებულება სერიოზულად ეკიდება მონაცემთა დაცვას და უზრუნველყოფს მის შესაბამისად მართვას.

კონსერვატორიას აქვს შემდეგი ელექტრონული სერვისები და სისტემები:

- დოკუმენტების მართვის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადმინისტრაციის მუშაობას
- სასწავლო პროცესების მართვის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებთან კომუნიკაციასა და ასევე სასწავლო პროცესის დაგეგმვას
- UniMusic, რომელიც აძლიერებს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და ხელს უწყობს სამემსრულებლო და უმაღლესი მუსიკალური განათლების ინტერნაციონალიზაციას ციფრული ტრანსფორმაციის გზით. პროექტი შეიცავს ორ ძირითად კომპონენტს: 1) საერთაშორისო აკრედიტაცია ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის; 2) Eduroam და LOLA პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა (მაღალი შეყვანების აუდიოვიზუალური ნაკადის ტექნოლოგია) კონსერვატორიის საკონცერტო და საგანმანათლებლო საქმიანობაში.
- ვებ-გვერდი ორ ენაზე - ინგლისურად და ქართულად შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას კონსერვატორიის მისიის, მისი სასწავლო კურსებისა და საქმიანობის შესახებ, ჩარიცხვის კრიტერიუმებსა და ინფორმაციას პერსონალისა და სტუდენტებისთვის საქმიანობისთვის.

კონსერვატორიას ასევე აქვს ხელშეკრულება TKT.GE-სთან, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი ონლაინ ბილეთების გამყიდველი საქართველოში. TKT.GE გთავაზობთ პლატფორმას კონსერვატორიაში გამართული ფესტივალებისა და კონცერტების ბილეთების გასაყიდად.

კონსერვატორია ასევე ინარჩუნებს პოზიციას სოციალურ ქსელებში კონსერვატორიისა და

ზოგადად კლასიკური მუსიკის რეკლამირებისთვის ახალგაზრდებში. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატორიის ვებგვერდს განახლება სჭირდება უკეთესი ფუნქციონირებისა და დაგეგმვისთვის, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა, მაგალითად, ვერ მოიპოვა ინფორმაცია ვიზიტის ღამეს გამართული კონცერტის შესახებ. სოციალურ ქსელებში პოზიციონირება გაძლიერებას საჭიროებს, რადგან კონსერვატორიის გვერდებზე აქტივობები საკმაოდ დაბალია. კონსერვატორიის ადმინისტრაციამ უნდა მოიძიოს მინიმალური სახსრები პოსტების გასაძლიერებლად Facebook-ზე და Instagram-ზე და სხვა პლატფორმებზე. მსოფლიოში ცნობილი კურსდამთავრებულების აქტივის გათვალისწინებით, ეს რესურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას კონსერვატორიის მუშაობის პოპულარიზაციისთვის და მის პროგრამებზე მეტი აპლიკანტის მოსაზიდად. ვიზიტის დროს სტუდენტებმა ასევე ხაზი გაუსვეს სარეპეტიციო ადგილების დასაჯავშნად უფრო მოქნილი პლატფორმის საჭიროებას. ბალანსზე არსებული რესურსით, IT ინფრასტრუქტურა ადეკვატურია და უზრუნველყოფს დაწესებულების სათანადო მართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ • ინფორმაციის მართვის პოლიტიკა და პროცედურები • კონსერვატორიის ვებ-გვერდი - www.tsc.edu.ge • ადგილზე ვიზიტი • შეხვედრები პერსონალთან და სტუდენტებთან
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, რომ განახლდეს და გაუმჯობესდეს (სისწრაფის და მარტივი ნავიგაციის უზრუნველყოფით) კონსერვატორიის ვებგვერდი. • რეკომენდებულია, რომ კონსერვატორიამ მოამზადოს იმ ყველა ძირითადი დოკუმენტის ინგლისურენოვანი თარგმანი, რომელიც დაკავშირებულია სტუდენტებთან და განათავსოს ვებგვერდზე.
რჩევები: სასურველია, სტუდენტთათვის შეიქმნას სარეპეტიციო სივრცეების დაჯავშნის უფრო მოქნილი სისტემა. სასურველია, მოხდეს ფინანსური მხარდაჭერა სოციალურ მედიაში პოსტების განთავსების მიმართულებით იმისთვის, რომ გაიზარდოს ინტერაქცია დაინტერესებულ მხარეებთან და მეტი ყურადღება დაეთმოს ზოგადად კლასიკურ მუსიკას.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კონსერვატორიის ბიუჯეტი ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებსაიტზე. საგულდაგულოდ იგეგმება ფინანსური სახსრების უზრუნველყოფა კონსერვატორიის ყველა საქმიანობისთვის, მათ შორის ბიბლიოთეკისა და კვლევითი საქმიანობისთვის.

კონსერვატორიის ბიუჯეტი ძირითადად შედგება რამდენიმე ძირითადი წყაროსგან: დაწესებულებისთვის მიცემული სახელმწიფო სუბსიდიები, სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური და საკუთარი შემოსავალი ბილეთების გაყიდვიდან. ბიუჯეტში ასევე ნაჩვენებია შემოსავლის ერთჯერადი წყარო, როგორცაა გრანტები სხვადასხვა კვლევით საქმიანობაზე. არ იყო წარმოდგენილი ინდივიდუალური პროგრამების ცალკე ბიუჯეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის სუბსიდიები, რომელსაც უზრუნველყოფს და აკონტროლებს საქართველოს კულტურის სამინისტრო, ხელს უწყობს სტუდენტების სწავლებას საგანმანათლებლო პროგრამებზე, აკადემიური პერსონალისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული ლექტორების ანაზღაურებას, პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

დაწესებულების საკუთარი შემოსავალი გამოიყოფა საერთაშორისო კონფერენციებსა და მისიებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალისთვის. ამავე დროს, კონსერვატორია უზრუნველყოფს სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ეს მოიცავს როგორც განათლებისა და მეცნიერების, ისე კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტებს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაწესებულების ბიუჯეტი, მიუხედავად იმისა, რომ დეფიციტური არ არის, უკიდურესად დაბალია. დაწესებულების პოტენციალის, მისი მიღწევებისა და საქართველოს კულტურული სფეროსთვის მისი უნიკალურობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა იმუშაოს კონსერვატორიის ფინანსური მდგრადობისა და მისი კამპუსისა და მისი სამუშაო ძალის მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად. ბიუჯეტი, ასევე ვიზიტის დროს თანამშრომლებთან და ადმინისტრაციასთან დისკუსიები აჩვენებს კონსერვატორიის შემოსავლების დივერსიფიკაციის აშკარა აუცილებლობას ადგილობრივ ბიზნესებთან მუშაობის გზით. მიზანშეწონილი იქნება პერსონალის დაქირავება და/ან მომზადება დაფინანსების მოსაზიდად. კერძო ბიზნესისაგან ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა საშუალებას მისცემს კონსერვატორიას, რომ არა მხოლოდ ფინანსური წახალისება მისცეს თავის პერსონალს და პროფესორებს, არამედ უზრუნველყოს თავების მოძიება ახალი ინსტრუმენტების შესაძენად, ახალგაზრდებთან მუშაობისათვის და ა.შ. დამატებითი შემოსავალი ასევე უზრუნველყოფს, რომ დაწესებულება ნაკლებად იყოს დამოკიდებული

სახელმწიფოზე, რითაც უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის უკეთეს ხარისხს მის საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ
- კონსერვატორიის ბიუჯეტი
- გასული 5 წლის დაფინანსების დინამიკა
- შეხვედრები ადმინისტრაციასთან, პროფესორებთან და პერსონალთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:



სასურველია, მოხდეს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება იმისთვის, რომ გაიზარდოს ბიუჯეტი ხელფასების მატების, აუცილებელი ინსტრუმენტების შესყიდვის, კონსერვატორიის ქონების განვითარების და კვლევაში ინვესტირების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მოწინეთ უჯრედი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტის მოცემული კომპონენტთან

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან